



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030120359974213

KA030120359974213

№ 01-80/ო

16 / აპრილი / 2013 წ.

დღის ცენტრის მომსახურების, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების, დამხმარე საშუალებების ვაუჩერის ფორმების, კვების ვაუჩერის ფორმის დამტკიცების შესახებ

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის 74 დადგენილების დანართი 1-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:


- ა) დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერის ფორმა (დანართი 1);
- ბ) ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ვაუჩერის ფორმა (დანართი 2);
- გ) დამხმარე საშუალებების ვაუჩერის ფორმა (დანართი 3);
- დ) კვების ვაუჩერის ფორმა (დანართი 4).

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტომ“ უზრუნველყოს ბენეფიციარებისათვის ან მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ვაუჩერებთან ერთად, შესაბამისი მომსახურების რეგისტრირებულ მიმწოდებელთა ჩამონათვალისა და შესაბამისი ვაუჩერის შესახებ ბენეფიციარის/კანონიერი წარმომადგენლისთვის/მინდობით აღმზრდელისთვის განკუთვნილი ინფორმაციის ნაბეჭდი ფორმით გადაცემა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დღის ცენტრის მომსახურების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სათემო ორგანიზაციების მომსახურების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლში მომსახურების, ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების, დამხმარე საშუალებით უზრუნველყოფის ვაუჩერის ფორმებისა და კვების ვაუჩერის ფორმისა და დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 2 მარტის 01-43/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

A handwritten signature in black ink, appearing to read 'Davit Lomidze' in Georgian script.

დავითი ლომიძე

დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერის ფორმა

1. ვაუჩერის ფორმის წინა მხარე:

დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერი	
მომსახურების პერიოდი: წელი	2 0 1 <input type="text"/> თვე <input type="text"/>
მოსარგებლე: ადმ.-ტერიტ. ერთეული:	<input type="text"/>
სახელი: <input type="text"/>	გვარი: <input type="text"/>
დაბადების მოწმობის ან პირადი №:	<input type="text"/>
დაფინანსება: _____ლარი	გაც. თარიღი: __/__/____
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა: _____	ბ. ა.

2. ვაუჩერის ფორმის უკანა მხარე თავისუფალია.

3. ვაუჩერის ფორმის ზომებია: 45 მმ X 95 მმ.

4. დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერის შესახებ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე) კანონიერი წარმომადგენლისათვის განკუთვნილი ინფორმაცია:

მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე) დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერის მოსარგებლეები არიან 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გარეშე), რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან “სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” და რომელთა სარეიტინგო ქულაც გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის 100 001-ზე ნაკლებია, ასევე, ამავე ასაკობრივი ჯგუფის იმ ოჯახების წევრი ბავშვები (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გარეშე), რომლებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას.

მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი (შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის არმქონე) ბავშვებისათვის დღის ცენტრის მომსახურებისთვის გათვალისწინებული დღიური დაფინანსების ლიმიტი შეადგენს 6 ლარს, ამასთან:

- იმ ბავშვებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან “სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” და რომელთა სარეიტინგო ქულაც გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის არ აღემატება 70 000 ქულას, გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად - დღეში 6 ლარის ოდენობით;
- იმ ბავშვებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან “სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში” და რომელთა სარეიტინგო ქულაც გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის არის 70 001 ქულიდან 100 001 ქულამდე, გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ დღეში 5 ლარის ოდენობით, ანუ გაწეული მომსახურების თანადაფინანსებისათვის გადაიხდიან დღეში 1 ლარს;
- რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების ბავშვებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად - დღეში 6 ლარის ოდენობით.

ბენეფიციარმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემა.

გაცემული ვაუჩერის ზედიზედ 2 თვის ტალონის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის გაუქმებას, გარდა ბენეფიციარის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში განთავსებისა ან შესაბამისი დღის ცენტრის ფუნქციონირების დროებით შეჩერების (საზაფხულო არდადეგები ან/და რეაბილიტაციისათვის დახურვა) შემთხვევებისა.

ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილებით ბენეფიციარს შეიძლება შეეცვალოს მომსახურების გამწვევი პირი სხვა პირით, მაგრამ მომსახურების გამწვევი პირის შეცვლამდე წარდგენილი ტალონი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ დაწესებულებას.

ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების შესახებ ბენეფიციარს/კანონიერ წარმომადგენელს გადაეცემა ნაბეჭდი ფორმით, ასევე, შესაძლებელია იხილოთ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 251-00-33.

5. შშმ პირთათვის დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერის შესახებ ბენეფიციარისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის/მინდობით აღმზრდელისთვის განკუთვნილი ინფორმაცია:

შშმ პირთა დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერით მოსარგებლეები არიან 6 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირები.

შშმ პირებისათვის დღის ცენტრის მომსახურების ვაუჩერის ტალონზე ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული დღიური დაფინანსების ლიმიტი შეადგენს 11 ლარს, ამასთან:

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებს, რომელთა სარეიტინგო ქულა სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არ აღემატება 100 000 ქულას – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად – დღეში 11 ლარის ოდენობით;
- რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების შშმ ბავშვებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად – დღეში 11 ლარის ოდენობით;
- დანარჩენ შშმ პირებს (მ.შ. ბავშვებს) გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ 75%-ით - დღეში 8,25 ლარის ოდენობით, ანუ გაწეული მომსახურების თანადაფინანსებისათვის გადაიხდიან დღეში 2,75 ლარს.

ბენეფიციარმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა/მინდობით აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემა.

გაცემული ვაუჩერის ზედიზედ 2 თვის ტალონის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის გაუქმებას, გარდა ბენეფიციარის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში განთავსებისა ან შესაბამისი

დღის ცენტრის ფუნქციონირების დროებით შეჩერების (საზაფხულო არდადეგები ან/და რეაბილიტაციისათვის დახურვა) შემთხვევებისა.

ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილებით ბენეფიციარს შეიძლება შეეცვალოს მომსახურების გამწევი პირი სხვა პირით, მაგრამ მომსახურების გამწევი პირის შეცვლამდე წარდგენილი ტალონი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ვაუჩერის ტალონები გაცივმა რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების მომდევნო თვიდან ბავშვის, მათ შორის შშმ ბავშვის 18 წლის ასაკის მიღწევის თვის ჩათვლით თვეებზე, შშმ პირებზე შშმ სტატუსის მოქმედების ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით თვეებზე, ამასთანავე შშმ სტატუსის დადგენის შემთხვევაში, მათ ავტომატურად გაუგრძელდებათ ვაუჩერის მოქმედების ვადა.

ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ დაწესებულებას.

ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების შესახებ ბენეფიციარს/კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს გადაეცემა ნაბეჭდი ფორმით, ასევე შესაძლებელია იხილოთ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 251-00-33.

ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ვაუჩერის ფორმა

1. ვაუჩერის ფორმის წინა მხარე:

ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ვაუჩერი	
მომსახურების პერიოდი: წელი	2 0 1 <input type="text"/> <input type="text"/> თვე <input type="text"/> <input type="text"/>
მოსარგებლე:	
სახელი: <input type="text"/>	გვარი: <input type="text"/>
პირადი ნომერი:	<input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>
დაფინანსების %:	გაც. თარიღი: __/__/__
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა: _____ ბ. ა.	

2. ვაუჩერის ფორმის უკანა მხარე თავისუფალია.

3. ვაუჩერის ფორმის ზომებია: 45 მმ X 95 მმ.

4. ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ვაუჩერის შესახებ ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლისთვის/მინდობით აღმზრდელისთვის განკუთვნილი ინფორმაცია:

ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურების ვაუჩერის მოსარგებლეები არიან გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები.

ვაუჩერის ერთი თვის ტალონის დაფინანსების ლიმიტია 144 ლარი. ამასთან:

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებს, რომელთა სარეიტინგო ქულა გადაწყვეტილების მიღების დროისთვის არ აღემატება 100 000-ს, ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონი დაუფინანსდებათ ლიმიტის 100%-ით;
- დანარჩენ ბენეფიციარებს ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონი დაუფინანსდებათ ლიმიტის 75%-ით;
- რეინტეგრაციის შემწეობის მიმღები ოჯახების წევრ ბავშვებს ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონი დაუფინანსდებათ ლიმიტის 100%-ით.

„ბავშვთა ადრეული განვითარების“ მომსახურების მოსარგებლეთა შერჩევას და შესაბამის გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე იღებენ რეგიონული საბჭოები ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის მიერ სააგენტოსათვის განცხადებით მიმართვიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში. ვაუჩერი გაიცემა ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელზე/მინდობით აღმზრდელზე გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით.

ბენეფიციარმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა/მინდობით აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემა.

ზედიზედ 2 თვის ვაუჩერის ტალონის გამოუყენებლობა, იწვევს ვაუჩერის გაუქმებას, გარდა ბენეფიციარის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში განთავსებისა ან შესაბამისი დაწესებულების ფუნქციონირების დროებით შეჩერების შემთხვევებისა.


ვაუჩერით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ დაწესებულებას.

ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების შესახებ იხილეთ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 251-00-33.

დამხმარე საშუალების ვაუჩერის ფორმა

1. ვაუჩერის ფორმის წინა მხარე:

	სოციალური ჩაბიძახებისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო უწყებანი	
	საქართველოს შრომითი, დასაქმებულებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	
დამხმარე საშუალების ვაუჩერი		
ბენეფიციარი		
სახელი:	<input type="text"/>	გვარი: <input type="text"/>
დაბ. მოწმობის ან პირადი ნომერი:	<input type="text"/>	
დამხმარე საშუალების / საკონლის / მომსახურების სახეობა		
<input type="text"/>		
დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტები სახეობის მიხედვით		
<input type="text"/>		
ბენეფიციარის დაფინანსების %-ლი წილი:		
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:	<input type="text"/>	ბ.ა.
სოციალური მომსახურების სააგენტო		ტელ: 251 00 33
www.ssa.gov.ge		

2. ვაუჩერის ფორმის უკანა მხარე:

სოციალური მომსახურების სააგენტო	
ვაუჩერით სარგებლობის წესი	
<p>დამხმარე საშუალების ვაუჩერით მოსარგებლები არიან შესაბამისი დამხმარე საშუალების საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ვაუჩერით ვალისწინებს დამხმარე საშუალების ღირებულების დაფინანსებას სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტების ფარგლებში.</p> <p>შესაბამისი დამხმარე საშუალების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამის ფარგლებში საქონლის მიწოდებლად რეგისტრირებულ ნებისმიერ დანესებულს. პროგრამაში მონაწილე მიმწოდებლებმა ვაუჩერით გათვალისწინებული დამხმარე საშუალების გაცემასთან ერთად უნდა უზრუნველყონ:</p>	
<p>საპროცედურო-ორგანიზაციული საკონტროლის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ზედა და ქვედა კოდების გველა დონის ამპუტირების შემთხვევაში კიდურების პროთეზების შეკეთება, დამზადება და მორგება. ● ორთეზების შეკეთება, დამზადება და მორგება. ● სპროთეზო ორთოპედული ნაწარმის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში საგარანტიო მომსახურება მისი გამოცელის ჩათვლით, თუ შესაბამისი ნაწარმის მწარმოებელს გამოსვლა არ უკავშირდება ფიზიოლოგიურ ცვლილებას, დაავადებას ან ტრავმით გამოწვეულ ცვლილებას, წინასწარ განზრახულ დაზიანებას ან არადაზიანებულ ნაწარმის გამოცვლას. ● ინდივიდუალური ტრეინინგებისა და სპეციალური სწავლების ჩატარება ნენეფიციარათვის გადაცემული სპროთეზო-ორთოპედული ნაწარმის უსაფრთხო და შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი ექსპლუატაციის მიზნით. 	<p>სხვა დამხმარე საშუალების შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> ● დამხმარე საშუალების ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით მორგება. ● საჭაროების შემთხვევაში, საეარქელ-უტლთან ერთად ნაწილებისგან დამცავი სპეციალური ბალიშის გაცემა. ● დამხმარე საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაცემა. ● გაცემული დამხმარე საშუალების საგარანტიო მომსახურება მინიმუმ 24 თვის განმავლობაში. ● საგარანტიო მომსახურების ვადის ამონურგამდე გაცემული დამხმარე საშუალების მწკობრიდან გამოცელის შემთხვევაში (რაც არ არის გამოწვეული ბენეფიციარის მიზეზით), მისი უფასო შეცვლა, თუ მისი შეკეთება ვერ ხერხდება საგარანტიო მომსახურების მიღების მოთხოვნით მიმართვიდან შეიდი კალენდარული დღის ვადაში.
<p>გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საპროცედურო-ორთოპედული საშუალების შემთხვევაში საქონლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მომწოდებლის მიერ დაფიქსირებულ ღირებულებას.</p> <p>ინფორმაცია დამხმარე საშუალებების ღირებულების, ასევე შესაბამისი საქონლის (მომსახურების) მიმწოდებელი დანესებულების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.</p> <p>დამატებით გაცნობებთ, რომ პროგრამაში მონაწილე დანესებულს აქვს ვალდებულება, ზოგადგვარი ბარიერებისა და დისკრიმინაციის გარეშე, შეუფერხებლად მოგანოდოთ პროგრამით გათვალისწინებული საქონელი (მომსახურება) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია დანესებულების მიერ თქვენთვის რაიმე მიზეზით პროგრამით გათვალისწინებული საქონლის (მომსახურების) მიწოდებაზე უარის თქმა, ან პროგრამის ფარგლებში მიწოდებულ საქონელზე (მომსახურებაზე) რაიმე დამატებითი საფასურის მოთხოვნა.</p> <p>დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 251-00-33</p>	
www.ssa.gov.ge	

3. ვაუჩერის ზომები: 15სმ X 31 სმ.

კვების ვაუჩერის ფორმა

1. ვაუჩერის ფორმის წინა მხარე:

კვების ვაუჩერი	
დასაქონლების პერიოდი: წელი <input type="text" value="2"/> <input type="text" value="0"/> <input type="text" value="1"/> <input type="text"/> თვე <input type="text"/> <input type="text"/>	
მოსარგებლე პირი:	
სახელი: <input type="text"/>	გვარი: <input type="text"/>
პირადი ნომერი: <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/> <input type="text"/>	
გაცემის თარიღი: _____ / _____ / _____	
პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა: _____ ბ. ა.	

2. ვაუჩერის ფორმის უკანა მხარე თავისუფალია.

3. ვაუჩერის ფორმის ზომებია: 45 მმ X 95 მმ.

4. კვების ვაუჩერის შესახებ კანონიერი წარმომადგენლისათვის განკუთვნილი ინფორმაცია:

კვების ვაუჩერით მოსარგებლეა

ერთი წლისა და 6 თვის ასაკის ჩათვლით ბავშვი, რომლის:

- ოჯახი კვების ვაუჩერის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 57001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა.
- ოჯახი რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებია.

კვების ვაუჩერის თითო ტალონი ითვალისწინებს კვების პროდუქტების დაფინანსებას ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელზე გაცემული კვების პროდუქტების ფაქტობრივი ჯამური ღირებულების შესაბამისად, თვეში არაუმეტეს 80 ლარის ოდენობით.

ვაუჩერი გაიცემა (არაუგვიანეს რეგიონული საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თვიდან მომდევნო თვის 5 რიცხვის ჩათვლით) ბენეფიციარის კანონიერ წარმომადგენელზე, რომელიც უზრუნველყოფს არაუგვიანეს საქონლის მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით საქონლის მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემას.

ზედიზედ ვაუჩერის 2 თვის ტალონის გამოუყენებლობა იწვევს ვაუჩერის ავტომატურ გაუქმებას.

ვაუჩერით გათვალისწინებული ბავშვთა კვების პროდუქტების მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამაში მონაწილე ნებისმიერ დაწესებულებას. ინფორმაცია პროგრამაში მონაწილე დაწესებულებების შესახებ იხილეთ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ssa.gov.ge.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 251-00-33.